განკარგულება:**g-37. 37231863**
თარიღი:**05/07/2023**

განკარგულება N45

5 ივლისი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობების, კერძოდ ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი საამშენებლო მასალების, (გადახურვის მეორადი ფილა 13 ცალი - ღირებულებით 260 ლარი და მეორადი პემზის ბლოკი 600 ცალი - ღირებულებით 90 ლარი) უსასყიდლო სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-სთვის გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი